

დარეჯან ჩხუბიანიშვილი

ზახ/დახ ზმნური ძირის ფუნქციონირებისათვის ქართულში¹

ი ძ ა ხ ი ს ზ მ ნ ა ა ხ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი მ ო ე ქ ე ა „მეტყველება-წრის“, თქმის სემანტიკის ზმნათა რიცხვში. ყოველდღიურად ტელევიზიის ეკრანიდან, რადიოგადაცემებში, პრესის ფურცლებზეც ხშირია ამ ზმნის გამოყენების შემთხვევები ა მ ბ ო ბ ს ზ მ ნ ი ს პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ა დ და მის ადგილას: ისინი ამას **იძახიან**, გუშინ მე ამას **ვიძახდი** და სხვ. ნაცვლად: ისინი ამას **ამბობენ**, გუშინ მე ამას **ვამბობდი**... განსაკუთრებით თავისუფლად იხმარება იგი აღმოსავლური დიალექტების წარმომადგენელთა მეტყველებაში.²

ძ ა ხ ძ ი რ ი მ ა რ ტ ი ე დ ა ე ბ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი თ ფუნქციონირებს (იძახის — (და)იძახებს...). იგი, სხვადასხვა ზმნისწინითა და ქცევის ნიშნით გაფორმებული, ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში და ფორმის შესაბამისად განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებით ხასიათდება.

ქართული ენის განმრტებით ლექსიკონში მარტივი ი ძ ა ხ ი ს ფ ო რ მ ი ს ა თ ვ ი ს ძ ი რ ი თ ა დ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა დ მ ი თ ი თ ე ბ უ ლ ი ა : „ძ ა ხ ი ლ ი თ , დ ი დ ი ხ მ ი ს ა მ ბ ო ბ ს“. შესაბამისად — დ ა ი ძ ა ხ ე ბ ს (გრდმ.) ნიშნავს ხმამალა, ყველას გასაგონად იტყვის, იყვირებს; დ ა უ ძ ა ხ ე ბ ს — ძახილით ეტყვის, ხმამალა ეტყვის, ხმამალა მ ო უ ხ მ ო ბ ს , დაუყვირებს. აქ უკვე საობიექტო ქცევის ფორმასთან გვაქვს საქმე და ჩნდება ადრესატი — ვისაც მიმარ-

¹ წაკითხულია მოხსენებად XVI რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე, თეზისები, 1996 წ.

² ამასთან დაკავშირებით იხ. ა. პაბიძე, „ზოგჯერ თქმა სჯობს...“, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1980, №2, გვ. 123.

თავენ ხმამაღლა, ინტენსიური ხმით, ყვირილით. ჩვენ აღარ ვეხებოთ ამ ზმნის სხვა, დამატებით მნიშვნელობებს, კერძოდ, მოიხმობს (ეჭიშხმ დაუძახებს), დაიბარებს, გამოუძახებს; სახელს დააარქმევს (შვილს ნინო დაუძახა);

გადასძახებს — იქით მყოფს დაუძახებს, ...ძახილით მიმართავს; შეძახებს — 1. აღტაცებით დაიძახებს, დაიყვირებს; 2. შესძახებს — ხმამაღლა, ძახილით მიმართავს, ეტყვის, — მიაძახებს; შეწყვირებს; დაუძახებს.

ასძახებს — ზევით მყოფს დაუძახებს, ქვევიდან ზევით შესძახებს; აძახებს — აყვირებს, აიძულებს იძახოს...

ჩასძახებს — 1. ზევიდან ქვევით და შიგ მყოფს დაუძახებს, მიმართავს ძახილით... 2. ჩაწყვირებს... 3. გადატ. საგანგებოდ ეტყვის, ჩააგონებს...

ჩასძახის — 1. ქვევით მყოფს ეძახის... 2. ჩაწყვირის... 3. საგანგებოდ ეუბნება, ჩასჩიჩინებს, ეჩიჩინება...

ამ ზმნის ენიანი ვნებითის ფორმა (**ეძახის**) კი ნიშნავს: ძახილით იწვევს, უხმობს, მოუწოდებს, უძახის, უყვირის. დამატებითი მნიშვნელობებია: უწოდებს, არქმევს... მსგავსი სემანტიკისაა **უძახს** || **უძახის** გარდამავალი ზმნების საობიექტო ქცევის ფორმები.¹

თუ შევადარებთ ზემოჩამოთვლილ ზმნათა ძირითად მნიშვნელობებს, ცხადი გახდება, რომ მათთვის ამოსავალი, ძირითადი სემანტიკა არის მაღალი, ძლიერი ხმით თქმა, მიმართვა, ყვირილი. ხოლო დანარჩენი მნიშვნელობები (არქმევს, მოუხმობს, იბარებს... და ჩვენთვის საინტერესო ამბობს (ლაპარაკობს) — მეორეული ჩანს. თვით ყვირილი განმარტებულია, როგორც ხმამაღლა ძახილი (ადამიანისა), თავისებური ხმის გამოცემა (ზოგი ცხოველისა, ფრინველისა).

საინტერესოა, რა უძღვის ისტორიულად დღევანდელ ვითარებას?

ეს ზმნა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში **ჯახ** ვარიანტის სახით დასტურდება და იქ მისი ძირითადი მნიშვნელობაა „მაღალი ვძიანობა“ (საბა),² ძახილი, ყვირილი, ყვივლი (მზ. ანდ-

¹ ქველ, I, II ტ. III, VII, VIII ტ.

² სიტყვის კონა, თბ., 1949.

რონიკაშვილი),¹ „წმა-ყოფა, ძახება, ღმუილი... ბრღლუენა... (აღ-
ზახება, დაზახება, ზახილი)...“²

ძველ ქართულშიც იზმარება როგორც მარტივი — უსუ-
ფიქსო იზახის, ისე — ებ სუფიქსიანი იზახებს ფორმები.
შესაბამისად, მასდარიც ორი ფორმით არის წარმოდგენილი:
ზახილი და ზახება. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აქ
გვაქვს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა განსხვავებული ფორ-
მები და ეს სხვაობა მასდარშიც არის ასახული.³

ჩვენი მასალის მიხედვით, ზახილი და ზახება
ძველ ქართულში სინონიმური ფორმებია და არც ზმნაში ჩანს
დიდი სხვაობა. ეს ბუნებრივია, რადგან დასახელებული ფორმები
აღრინდელ ძეგლებში ძირითადად ცხოველებთან დაკავშირებით
არის ნახმარი (იგულისხმება მწეცებრ ბრღლუენა, ღმუილი, ხმამა-
ღალი ხმიანობა, ყვირილი...) და ამდენად გამორიცხულია უახ-
ლოესი ობიექტის პოვნეირება. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგა-
ლითს:

(ლომმან) მრავალნი ცხოველთაგანნი, წარმატებულნი მისნი
სიმაღლითა, ზახილითა ოდენ თჳსითა მოინადირნის
(ექუსთ. დღ., 106,13).⁴

შდრ. (ლომისა) ზახება და საზარელად ხილვად იბი-
ლა... მოწამემან (H 2211,331r).

ზმნებში: მვეცი სივლტოლასა მას შინა იზახდა დიდად (სუმ.
მეს. ა 303,158). შდრ. ვითარცა ლომი იზახებდეს... (ოსე 11,10).

ჩვენთვის საინტერესო ფორმები ადამიანებთან დაკავშირები-
თაც გამოიყენება ძირითადად იმ შემთხვევებში, თუ მწეცებრ
ბრღლუენა, ყვირილია ნაგულისხმევი. გავიხსენოთ მაგალითი „შუ-
შანიკის წამებიდან“: ვითარცა მვეცი მძვნვარედ ყიოდა და იზახ-
და ვითარცა ცოფი.

მსგავსი მაგალითებია: მვეცებრ მძვნვარედ იზახებდა უშჯუ-
ლოდ იგი მათ ზედა (წამ. აბიბ., 104,25); ...შეიბყროს და იზახოს

¹ ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

² ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

³ იბ. ი. და ე. იშაიშვილების შრომა „ზმნა ძველ ქართულში, II, გვ. 623.

⁴ სტატიაში გამოყენებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტე-
რატურის ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის
დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდის მასალები.

ვითარცა მკვცმან (ესაია, 5,29); მტერნი იგი... ვითარცა ლომნი **იზახებდეს** (წარტყ., 16,12) და სხვ.

ორიოდე შემთხვევაში დადასტურდა ამ ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა მნიშვნელობით: უყვიროდა, მოუხმობდა: **უზახებდა** ხუროდ იგი მქედელსა მას ქედად, კუერვად (ესაია 41,7); ...კაციცა ვინმე... აქნებდეს და **უზახებდეს** და სცემდეს კაცთა მათ (ბ. იბერ., 219,15).

ზმირ შემთხვევებში **იზახებს/იზახის** ზმნები, როგორც ითქვა, აღნიშნავს ცხოველთა, ფრინველთა და საკრავთა მიერ გამოცემულ ხმას, უფრო მეტად ხმამაღალს, ძლიერს.

ა) ეს ეხება განსაკუთრებით ცხოველებს, გვხვდება ჳმად ზახებისა ლომთად, ჳართა ზახება, მკვცთა ზახილი, ზახებად ვეშაბთად...

მაგალითები:

ძალი ლომისად და ჳმად ლომისად ძუვისად, **ზახებად** ვეშაბთად დაშრტა (იობ., 4,10); ვითარცა ლომი **იზახებდეს** (ოსე. 11,10); მკვცი იგი სივლტოლასა მას შინა მისსა **იზახდა** და წარვიდა (სჳ. მეს., 303,15); და კუალად ეჩუენა მას ლომი ბირალეზული, მიმავალი მის ზედა **ზახილითა** დიდითა... (იქვე, 23,18); ...**იზახის** ლომმან მალნართ გამო მისით, რომელსა ნადირი არა აქუნ (ამოს., 4,4); აიყარნენ დეენი დიდითა **ზახილითა** და ზანგიზუნგიითა (რუს., 126,17); ...**იზახებდე**, ვითარცა ლომი ლეკვისა მოშორებული (საბა III, 132,29); ...მელმან გაცინვითა იწყო **ზახილი** მისდა (ესობე, 45,20); ...ასბატი მას თვესა ჳქვიან, რომელ კატანი იძუენებიან და **იზახიან** (წიგნ. სააქ., 80,12); თქვენ ყურსნუ უგდებთ, რაზომცა **იძახოს** ტბაში ბაყყმან (არჩ., II) და სხვ.

ბ) რაც შეეხება ფრინველებს, ეს არის ინდაურთა და კაკბთა, ყვავთა და სხვათა ძახილი: ...უკუეთუ **იზახებდეს** ჩუენ ზედა ვითარცა სისარა, წმიდამან ეკლესიამან იოტოს (მამ. სწ., 144,30); ერთი ყვავი მოვიდოდა, მოყრანტალეზდა, შემოჯდა იმ კოშკზედა და დაიწყო **ძახილი** (რუს., 445,20); ყვავნი ასრე **იძახიან** (კალმ. I); კაკბმა მალლითა ჳმიანობითა **ზახილი** და უბადო სიცილი დაიწყო (საბა II, 324); ...ქათმისა და მისთანათა **ზახილხაცა** ყვილიად იტყვიან (საბა IV₂); ...დღე და ღამე მუღამ **იზახდეს** ქათამივითა (კარაბ., 190,28);

ძახილი ბულბულთან კონტექსტშიც იხმარება. აქ იგი

გალობის სინონიმი: ბულბულთა შექმნეს **ძახილი** (თეიმ. I, მაგ. IV, 12,1); ბუჩქში **იძახდეს** ბულბული ტკბილად, ვარდისგან წყლულით (თეიმ. II, სარკე თქმ., 441,4); ...მის ტახტისაგან გამოვიდის ესეთი ხმა, რომელ მის უამესი არა გაიგონებოდის რა კაცისა ყურისაგან, ...**ძახილი** ბულბულისა და სტვენა იაღონისა და სირინოზისა (რუს., 397, 26), მუნ ბულბულისა **ზახილმან** კაცს სევდა მოაქაროსა... (ვახტ. VI, 35,3); ბულბულმან ხმასა უმატა, **ძახილსა** მისცა ძალები... (ბარამგურ., 453,1) და სხვ.

გ) საკრავებიც იძახიან — გამოსცემენ ხმის ზოგჯერ ძლიერად, ზოგჯერ კი როცა საქმე ეხება ჩანგსა და ებანს, ნაზად ხშირობენ: ...სცემდენ ქოსსა და ნაღარასა და **იძახოდა** მაღლად ყვირო-სტვირი (რუს., 373,34); ნაღარას სცემენ, **იძახის** ყური, სტური და ქოსია (მაჰნავაზ., 407,1); ჰყრეს ნაღარასა, მოუვდა, **იძახდა** ქოსი, სტვირია (მაჰნავაზ., 457,4); ...მოჩივართა ნესტესავით ხმობა და ბუკებრ **ზახილი** იწყეს... (საბა II, 261,20); მისი მსჯავრისა სისწორეს ყოვლგნით **იძახდა** ებანი (საბა II, 133,9) და სხვ.

ზმირია ჩვენთვის საინტერესო ფორმათა გამოყენება ადამიანთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საერო მწერლობის ძეგლებში. მათ სიმრავლეს ტექსტის ამ კორპუსში თემატიკა და ჟანრობრივი თავისებურებანი განაპირობებენ. რაინდული ეპოსისთვის დამახასიათებელ ეპიზოდებში, როგორც ცნობილია, გადმოცემულია რაინდთა ბრძოლა, აბჯართა ცემა, ლაშქართა შემოკვილი და ომის ყიჟინა. აქ ზათქის, ზრიალის, ზარისა და ჭრტინვის გვერდით ზმირად **ზახილი** და **ზახებაც** გვხვდება „ყვირილის“, „ხმამაღალი შეძახილის“ მნიშვნელობით. ზოგჯერ ეს ფორმები ხმამაღალ გოდებას, მოთქმას და ვაებასაც გადმოსცემს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო მწერლობის ძეგლებში ზახ-ის პარალელურად ძახ-იც დასტურდება, მოგვიანო პერიოდის თხზულებებში კი **ძახ** გაბატონებულ ფორმად იქცევა. ასეა, მაგალითად, „რუსუდანიანსა“ და „მაჰ-ნამეში“. ორიოდე მაგალითი ძველი ქართულიდან: განვისუენე მეფეთა თანა... რომელნი **იზახებდეს** მახვილებითა მათითა (იობ., 3,14); ...მტერთა შენთა იზახეს და მოძულეთა შენთა აიღეს თავი (ფს., 82,3)...

ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი: [ტარიელი] იზახდის და წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი (629,3); ისრიან და **იზახიან**,

მვეცსა სჭრიან ვითა მჭელსა (986); ვნადირობდი და ვი-
ზახდი, ხმა ჩემი არ უდიდოა (609); კიოდეს და მოვიდო-
დეს, იზახდეს და ბუქსა ჰკრესა (1047) და სხვ.

რ უ ს უ დ ა ნ ი ა ნ ი: შეიქნა ორთავე ლაშკართა შიგან დიდი **ძა-
ხილი** და თავთა ცემა (69,39); ...შეიქნა კივილი, ზრიალი,
ზახილი, ზათქი და ზარი (368,11); ...ადარ მოვიდა დედო-
ფალი სულად. შეიქნა **ძახილი** (104,3); ...მწარის ხმით შექ-
ნეს **ძახილი** (599,7).

შ ა შ - ნ ა მ ე: მუნ შეიქნა **ზახილი** და სისხლის ღვარი ზღვასა
გავსა (III, 338,2); ჯარისა და **ზახილისაგან** ყურთა ვჰმა არ
ისმოდა (III, 506,3); კივილისა და **ზახილისაგან** ჯაბანთა
გული გასკდებოდა (III, 172,24); ...მისის ყვირილისა და **ზა-
ხილისაგან** მიწა ზღვა ვითა ექანებოდა (172,20); ორთავე
რაზმი დააწყუეს, იყო **ძახილი**, ხრიალი (III, 384,3); ბირ-
მზეთა შექნეს **ძახილი**, ბრალითა მიწა ტირისა! (III,
5020,2);

ზახილი იყო და აბჯართა ზედა ცემისა ჰქნა... (ამირანდ.,
324,21); მათი ყვირილი მიწას სძრევდა და **ზახილი** ცად გაიწყო-
და (საბა II, 216,15); **დავიზახებ** ასეთსა, რომელ კლდეთაცა შე-
ვებრალო (ვისრ., 159,17); [რამინს] გული უდღულდა, **იზახდა** და
ექებდა ვისის (იქვე, 164,19); ზეპირად მალლა **იძახის**, მე ვარ
სუაადი ქებული (შაჰნავაზ., 389,2); შორით მუქრობს და **იძა-
ხის**... (იქვე, 394,4); გუშაგები **იძახიან**, როგორც მწუხრს და
ცისკარს მოლა! (დიდმოურ., 427,4) და სხვ.

ამის გვერდით გვხვდება კონტექსტები, სადაც ადამიანთა
ხმამაღალი ლაპარაკი იგულისხმება. საინტერესოა თანიაშვილის
„ამირანდარეჯანიანიდან“ შემდეგი ადგილები, სადაც დაპირისპი-
რებულია წყნარად თქმა და ხმამაღალი ლაპარაკი, ყვირილი, რაც
უფრო აშკარას ხდის ჩვენთვის საინტერესო ზმნის სემანტიკას:

...რასა გკადრებ, ყურს უგდებდი, წყნარად გეტყვი, არ ვი-
ძახე (1883,4); კაცს შევხვდი ჰყირტად მოთქმელსა, თქმა იყო არ
ძახილია (625,2).

თანდათანობით **იძახის** ზმნასთან ჩნდება უახლოესი
ობიექტი; ზმნაც გარდამავალი ხდება, რადგან ის სემანტიკური
შეზღუდვები მოხსნილია, რაც ცხოველებსა და ფრინველებთან
დაკავშირებულ კონტექსტებში იყო:

...**იდახი** ჩემსა სურვილსა მალლა ბუქსა ვკრავ ენითა (ბარამგ., 450,2); ...აწე ყველაი თავის დედასა და მამასა **იდახის**... (რუს., 327,32); ძნელბედობისა მტირალი **ვიზახი** ვაგლახ-ვაისა! (საბა III₂, 265,30); ერთი რამ უცხოლ ნაქმარი სიბრძნეს **იდახის**, მივერსა (S-2883-ის მინაწ., 205,25); მოსთქვამს მწარესა გულითა, **იდახდეს** ღია მჭახესა (იოსებზილ, 274,1); მრავალნი კაცნი არიან, რომელთა ხელთაგან არარაჲ გამოუვათ და დიდდიდს **იდახიან** (ესოპე, 49,26), კარსა მიადგა და გადებასა **იდახდა** (თეიმ. II, თიმს., 164,14); ამას **იდახდა**: ვინც ჩამოხვალთ საომრად, მე გიჩუენო ფალავნობა (შაჰ-ნ., III, 172,3)...

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის შემთხვევები, სადაც ყვირილი, ხმამაღალი ძლიერი ხმით ლაპარაკი კი არ იგულისხმება, არამედ ნეიტრალური საუბრის სემანტიკაა საგულვებელი, რაც ადრინდელ ძეგლებში არ ჩანდა: მწუხარის ხმით **იდახდა**: ღმერთო, შენ მომხედე! (შაჰ-ნ., 425,43); ქმრისა შიშით ვერას იტყვის, **იდახოდა** მალვით „ვასა“ (იქვე, 1104,1).

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, **იდახის** ზმნის სემანტიკური ცვალებადობის ხაზი სალიტერატურო ქართულში ასეთია: ხმამაღალი ხმიანობა, ყვირილი, ღმუილი, ბრღლუნა; შემდეგ საფეხურზე — ისევ ხმამაღალი ხმიანობა (ცხოველთა, ფრინველთა, საკრავთა...); აღამიანებთან დაკავშირებით — ყვირილი, ხმამაღლა თქმა, ყვირილით მიმართვა, თქმა... ხოლო ზმნისწინიან და საობიექტო ქცევის ფორმებთან — მოწოდება, მოხმობა, სახელის დარქმევა. ამ მნიშვნელობათა დიდი ნაწილი ახალ ქართულშიც დასტურდება მცირედი სემანტიკური გადახრებით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის თავისებური, დამახასიათებელი ხმიანობის, დაუნაწევრებელი ბგერების გადმოცემა. მაგალითები დიალექტებიდან:

ფანდურის **იდახილი**: **იდახე** ჩემო ფანდურო, ჭირიმე შენის ღმერთისა (შან. ჯვეს., 96,220); კახეთს მთვრალაის ფანდური **იდახებს**, როგორც ზარია (იქვე, 240,558,17);

გუგულის **იდახილი**: დოქუს იდახა გუგულმა... (ხვეს., ოზ., 27,13);

ყვავის **იდახილი**: ამ დროს გადმოფრინდა ყვავი ძაროდან

¹ ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

და იძახის (გურ., ს. ულ., 103,36);

ქათმის ძახილი: შეუწვამენ და შეშქამს, იქილამ იძახის ნახევარქათამი... (კახ., 97,21);

თხის ძახილი: ამ თხამ იძახა და იბლავლა (იქვე, 115,17);

ადამიანის მიერ ხმის გამოცემა (დაუნაწევრებელი მეტყველების ფრაგმენტები): სამჯერ ვიძახილით: იშიში, იშიში (ხევს., ჭინჭ. 341,34); კაცი ზის კვერცხებზე და კრ-კრ-ს იძახის (დიალ., თიან., 162,15); სამ დღელამესაც იძახა იმ ზარმაცმა „იჰ“ ყველა ცულის მოქნევაზე (ზ. აჭარ., 201,31).

ანალოგიური მასალა არ არის იშვიათი მხატვრულ ლიტერატურაში: ...იძახდნენ მოლალურები (რ. ინან.); ...ბრწყინავდნენ გაფანტვით მდგარი ნაგალა ვაშლის ტოტები... აქაც დაფრინავდნენ და იძახდნენ წიფვივები (იქვე); კაჰკაჰმა იმდენი იძახა, მურა აუღავლდა (იქვე); ...ჰოტი აღარ იძახდა (იქვე); ...ქვით-კირო! — იძახის მწყერი (იქვე); ჰოტი იძახოდა ხეობაში საწყალობელად (კ. გამსახ.); ...დგ, დგ, დგ, — იძახდნენ [მატარებლის] ბორბლები (გ. რჩ.); — „ვა“! — იძახის ის (იქვე); — „ოო-უჰ“! — იძახიან ფებზე წამოვარდნილნი (იქვე); ..ხან ოთხზე დადგებოდა და იძახდა, შემხედე, შემხედე, ცუგა ვარო (ო. ქილ.)...

და ბოლოს, იძახის ზმნამ გაიფართოვა თანამედროვე ქართულში მოხმარების არე, განივითარა ნეიტრალური საუბრის, თქმის, ამბის ჩვეულებრივი გადმოცემის სემანტიკა. ეს მოხდა, უპირველეს ყოვლისა, ზებირ მეტყველებაში. ამ ფორმებს განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა აღმოსავლურ დიალექტებში, უფრო კი ქართლურსა და კახურში. დავიმოწმებთ სათანადო მასალას დიალექტებიდან.

ქართლურ: ხემწიფე იძახის, ერთი წლის ბავშვ რო ამდენი რამე უნდა, კიდე რო გაირდება, რალა გააძღებო (ალ. ღლ., 79,29); ცოლი იძახის: — თუ უნა მამჭრას თავი, რალას აგვიანებს (იქვე, 129,6); მივიდა ამ ღვდელმა, კიდე შახედა და იძახის: ეს ხომ ჩემი ცოლიაო (იქვე, 222,31); ხემწიფეს... გეხარდა: „ე გლეხკაცი ყოფილა და იძახის — მე უნდა მოვარჩინო [ხემწიფის ქალიშვილი] (დიალ., 320,15); ერთი კაცი შაურს იძახის: „სიტყვას გასწავლი და შაური მაძეცი“ (იქვე, 297,27);

კახური: ასეთ ფინთ სიტყვებ როგო იძახიო (კახ., 133,5); დაი-
ბადა ბავშვი თუ არა, იმ დღიდან იძახოდა: „ბური მშიაო,
ბური მშიაო“ (აღ. ლლ., 79,29);

მთიულური: -ცამ ჩაყლაპაო თუ დედამიწამ ჩაყლაპაო! —
იძახიან დევები (დიალ., 62,3); გვერდს ეჭიფი უღვას და
იძახის: შაბაშ, შაბაშ! (იქვე, 59,36).

თიანური: ის ბიჭი იძახდა: კაცო ეს ქალი ის არი, არც არი
(დიალ., 157,10); ...აქამდე სუ ჩემიაო, — იძახდა (იქვე,
156,18).

მოხეური: სანდროსგან გამიგია ის, რასაც იძახდა, რომაო
შოთა რუსთაველის ნათქომები ძალიანზე ძალიან კარგი
იყო (დიალ., 48,25).

ამგვარი მასალა დასავლურ დიალექტებშიც დადასტურდა,
შედარებით იშვიათად:

იმერული: ეს ბრმა კაცი იძახის: ბევრი მომატებია შვილიო
(დიალ., 456,6).

გურული: აი კაცი თურმე აბდალაი იყო და... სულ იძახოდა:
არაფელი, არაფელიო! (ს. დლ., 110,22).

ქვემო რაჭული: ...ჩეიცვა ძველი ტანისამოსი, ჩამეიკიკნა და
იძახის: არშიკები, არშიკებიო! (შ. ძიძიგ., 286,11) და სხვ.

თუ დავაკვირდებით დამოწმებულ მასალას, ნათელი გახდე-
ბა, რომ იგი არ არის ერთი ტიპისა. იძახის ზმნა ყოველ-
თვის არ არის ნეიტრალური მოდალობის თვალსაზრისით, გა-
რკვეულ კონტექსტებში მას შეიძლება ახლდეს ემოციური და-
ტვირთვა, ინტენსიურობის (ძლიერი ხმის, მოქმედების განმეორე-
ბადობის, მრავალგზისობის) გამოხატვის ელფერი. ეს აშკარად
ჩანს თუნდაც იმ მაგალითებში, სადაც იძახის ზმნასთან პირ-
დაპირი ნათქვამის შემთხვევებში მეორდება ის სიტყვები, რასაც
იძახიან, ამბობენ (...სულ იძახოდა... არაფელი, არაფელი; ...იძა-
ხის: შაბაშ, შაბაშ...). შემთხვევითი არ არის, რომ ამგვარი წინა-
დადებების ბოლოს ძახილის ნიშანი იწერება.

მოქმედების ინტენსიურობა ზოგჯერ ლექსიკური საშუალე-
ებით, ზმნისართის დართვითაც არის ხაზგასმული: ყოველ-
თვის იძახის, მუდამ იძახდა, სულ იძახოდა... მაგალი-
თად, მას აქეთ სულ იმას იძახის, რომ მარტო ქვიშა კი
არა, ქვაც, ქვაც უნდა მოვკრიფოთო (ლ. მრელ., „ყაბახი“).

ზემოაღნიშნულ შემთხვევათა გვერდით ჩვეულებრივია ისეთი კონტექსტები, სადაც ემოციური თუ ინტენსიურობის ნიუანსები არ იგრძნობა და **იძახის** ზმნა ნეიტრალური სემანტიკისაა: კაცი იძახის — კაცი ამბობს, ბიჭი იძახდა — ბიჭი ამბობდა... და სხვ.

ბოლო ხანებში ხალხური სასაუბრო ენისა და სალიტერატურო ენის ინტენსიური ურთიერთზემოქმედების პირობებში ჩვენთვის საინტერესო ფორმებმა მწერალთა ენაში და პრესის ფურცლებზეც იჩინა თავი მიუხედავად იმისა, რომ ერთიც და მეორეც ერთგვარ ენობრივ კონტროლს ექვემდებარება.

მაგალითები:

ვიდაცა **იძახდა** — გათენებულა კიდეცაო (რ. ინან.); ბებია **იძახდა** — მომაშორეთ, მომაშორეთ კაჭკაჭი, თორემ არ ვიცი რას ვიზამო (იქვე); კაცი **იძახის**, პოეტი ვარო (ლ. მრელ.); ჩაპრიანთ ნიკა **იძახის**: პირიმზისაზე იგეთი ბალახია, ავეისტოს ბოლომდის ვერ მორჩებიან თიბვასო (იქვე); ქარიშხანი თავს გამოჰყოფდა კარვიდან და მიკნავებული ხმით **იძახდა** (კ. გამს., III). ჩვენ დიდიხანია **ვიძახდით**, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა (გაზ. ნ ს.); ჩემთან ის პოლიტიკოსები მოდიან, ვინც ამაყად **იძახის**, რომ ქალში ფულს როგორ გადავიხდით (იქვე); როგორც შევარდნაძე **იძახის**, მე წინ წავალ ჭალარა კაციო (გაზ. ათ); თევდორაძე, რომელიც კომენტარებზე უარს არ **იძახდა**, გუშინ ერთგვარად გაჩიუტდა (იქვე); თარგამაძე სხვას **იძახის**, თევდორაძე — სხვას (იქვე); **იძახდნენ**, რომ ომი უნდა დაიწყოს (იქვე); მმართველი პარტია **იძახის** — ქვეყანაში კორუფციია (გაზ. კვ. პალ.); ...ამას მაშინაც **ვიძახდი**, მაგრამ მაშინ მნიშვნელობა არ ვიცოდი (იქვე)...

ამგვარი ფორმები გაცილებით ხშირად ისმის ტელევიზიის ეკრანიდან, განსაკუთრებით რესპოდენტთა მეტყველებაში. ქვემოთ დავიმოწმებთ რამდენიმე შემთხვევას, რომლებიც ტელეგადაცემების დროს ჩავიწერეთ:

მე **ვიძახი**, რომ ოფიციალური ხელისუფლება ეკონომიკას მთლიანად ვერ აკონტროლებს; — რას **იძახი**, თეატრში იმიტომ კი არ მივდივარ, რომ ქალები ვათვალიერო; თუმცა ბევრი პრობლემა დაგროვდა, მაგრამ მე არ **ვიძახი**, რომ არჩევნები არ ჩატარდება; როგორც ყველა **იძახის**, ჩეჩნები არიან კოდორის ხეობაში; ეს გამყიდველები **იძახიან**, რომ ახალ ბაზრობაზე არ

გადავალთო; პავლე მოციქული **იძახის**, რომ რწმენა გადაარჩენს ადამიანსო; ნოდარი **იძახდა**: ნანული, ვერ გავზარდეთ ჩვენი შვილებიო; ისინი ჩემზე **იძახდნენ**, რომ ეს პავლე ინგოროყვას სიძე-აო... როცა **იძახი**, რომ ჩემი ქვეყანა უნდა იყოს კარგად, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ოჯახის, შენი ქალაქის კარგად ყოფნა გინდა და სხვ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვის ბუნებრივი იქნებოდა ზემოაღნიშნულ კონტექსტებში გამოგვეყენებინა „ამბობს“, „აღნიშნავს“, „აცხადებს“... ზმნები: ვილაცა ამბობდა, კაცი ამბობს, ჩაპრიანთ ნიკა ამბობს, ვინც ამაყად ამბობს, აცხადებს; მმართველი პარტია აცხადებს, ყველა აღნიშნავს, მოციქული ამბობს და ა. შ.

როგორც დამოწმებული მასალიდან ჩანს, **იძახის** ზმნა „ამბობს“ ზმნის მნიშვნელობით მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთებთან შეგვხვდა, მაშინ, როდესაც იგი თავისი ძირითადი მნიშვნელობით (დიდი ხმით ამბობს, ყვირის— ყველა ნაკვთს აწარმოებს (იძახა, უძახნია). ეს მით უფრო ითქმის ქცევისნიშნიან და ზმნისწინიან ფორმებზე: დაუძახებს, გადასძახებს, შესძახებს, ასძახებს, ჩასძახებს... დაუძახა, გადასძახა, შესძახა, ასძახა, ჩასძახა და სხვ.

იძახის ზმნის გამოყენება ნეიტრალური „ამბობს“ ზმნის მნიშვნელობით გაუმართლებელია, რადგან სალიტერატურო ენის ტრადიცია მას მხარს არ უჭერს: **იძახის** ზმნას არასოდეს ჰქონია ნეიტრალური თქმის, ამბის გადმოცემის სემანტიკა, მისთვის ხომ ძველდაც და თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც წამყვანი სემანტიკური მახასიათებელია ხმის სიძლიერე, ზოგჯერ ემოციური დატვირთვა, დისტანციაზე მყოფთათვის აზრის, ამბის მიწოდება, კონტაქტის დამყარება, დამახასიათებელი ხმიანობის გამოცემა და სხვ. ნეიტრალური თქმის სემანტიკა ამ ზმნასთან შედარებით ახალი შემოტანილია სალიტერატურო ქართულში. ამის მაჩვენებელია ისიც, რომ მისი ფუნქციონირება შემოფარგლულია მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთებით, ვერ იგუებს ზმნისწინებს და არა აქვს შესაბამისი მასდარული და მიმღებური ფორმები. ძ ა ხ ი ლ ი და ძ ა ხ ე ბ ა, ისევე როგორც დ ა მ ძ ა ხ ე ბ ე ლ ი, დ ა ს ა ძ ა ხ ე ბ ე ლ ი, შ ე ძ ა ხ ი ლ ი... **იძახის** ზმნის ძირითად მნიშვნელობასთან არის კავშირში და მათ არაფერი აქვთ საერთო „ამბობს“ ზმნის სემანტიკასთან.

რაც შეეხება დიალექტებს, შესაძლებელია, გარკვეულ დიალექტურ წრეში იგი თავიდანვე ითავსებდა „ამბობს“ ზმნის მნიშვნელობას. დიალექტურ ფორმათა მოზღვავეების პირობებში იგი, როგორც ჩანს, ზეპირი მეტყველების ფაქტად იქცა და სალიტერატურო ენაშიც შეაღწია. „იძახის“ ლექსემის გააქტიურებას ალბათ ხელი შეუწყო ძახ ძირის სხვადასხვა ზმნისწინითა და ქცევის ნიშნებით ნაწარმოებმა მრავალრიცხოვანმა ფორმებმა, რომლებიც თანამედროვე ქართულში ფართოდ გამოიყენება.

სასურველია, დროზე შევუშალოთ ხელი „იძახის“ ზმნის არადანიშნულებისამებრ გამოყენების არასასურველ ტენდენციას, რაც აღარბებს ჩვენს ენას და ფართო გასაქანი მიეცეთ „მეტყველება წრის“ ზმნათა მრავალფეროვან ფორმებს, რომელთაც თავთავისი ადგილი და გამოყენების სფერო აქვთ.

¹ ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძახ ძირის ფონეტიკური ვარიანტი ზრახ/ძრახ, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელობად ძველ ქართულში მითითებულია „უბნობა“, „ლაპარაკი“; სიტყვესა ზრახან ენად მისი: ფს., 51,4 (ი. აბულაძე); ზ რ ა ხ ვ ა — სიტყვის ლაპარაკი (საბა).

გასათვალისწინებელია აღმოსავლური დიალექტების ჩვენებაც, კერძოდ, ინგილოურში: ზრახუად, ზრახნად — ლაპარაკი, თქმა (რ. ლამბაშიძე); ქიზიყურში — ძრახვა — ლაპარაკი, პასუხის გაცემა — სტ. მენთეშაშვილი); ხევსურულში — ძახ/ძრახ ძირები ლაპარაკთან, თქმასთან, ძახილთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემენ (ალ. ჭინჭარაული).